



საქართველოს მთავრობა

პირითაზი მონაცემები და მიმართულებები

2009-2012 წლებისათვის

თბილისი

2008

ს ა რ ჩ ე ვ ი

საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგია (2009-2012 წლები)	4
საქართველოს მთავრობის სამოქმედო პრიორიტეტები 2009-2012 წლებისათვის.....	5
ეროვნული უსაფრთხოება	5
ეროვნული კეთილდღეობა.....	5
მოსახლეობის კეთილდღეობა	6
ლოგისტიკა, ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა.....	7
სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსები.....	8
განათლება, კულტურა და სპორტი	8
საჯარო სექტორი.....	9
თავდაცვისა და სამართალდამცავი სისტემა.....	9
მაკროეკონომიკა.....	10
მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები.....	10
მაკროეკონომიკური მიმოხილვა და პროგნოზი.....	10
2007 წლის საბიუჯეტო შემოსულობების ანალიზი.....	18
2008 წლის საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზი	22
2009-2012 წლების შემოსულობების პროგნოზი	23
2007 წლის გამოყოფილი ასიგნებების მოკლე მიმოხილვა.....	25
2009-2012 წლებისათვის გათვალისწინებული ასიგნებანი ძირითადი კატეგორიების ჭრილში	28
ნაერთი ბიუჯეტი	28
სახელმწიფო ბიუჯეტი.....	29
ადგილობრივი ბიუჯეტები	29
სახელმწიფო ვალის სტრატეგია	30
საგარეო ვალის მდგრადობა და სტრატეგია	30
საშინაო ვალის მდგრადობა და სტრატეგია.....	31

ბიუჯეტის ასიგნებების მიმართულება ფუნქციონალურ ჭრილში (2009-2012)	33
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	33
თავდაცვა	33
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	33
ეკონომიკური საქმიანობა	34
გარემოს დაცვა	34
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	34
ჯანმრთელობის დაცვა	35
დასენიჩა, კულტურა და რელიგია	35
განათლება	35
სოციალური დაცვა	35
დანართი 1 ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ცხრილები	36
დანართი 2 სამინისტროთა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მატრიცები	45
დანართი 3 ავტონომიური რესპუბლიკების/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტები (2009-2012 წწ)	102

ეს სტრატეგია წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 5 წლიანი პროგრამის „ერთიანი საქართველო სიღარიბი გარეშე” განვრცობას და პრიორიტეტების შემდგომ დაზუსტებას უკვე მიღწეული პროგრესისა და ახალი გამოწვევების გათვალისწინებით 2009-2012 წლების განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგია (2009-2012 წლები)

საქართველოს მთავრობის ძირითად პრიორიტეტებს 2009-2012 წლებისათვის წარმოადგენს:

- მოსახლეობის კეთილდღეობა – საქართველო სიღარიბის გარეშე;
- ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სრული ტერიტორიული და სამოქალაქო რეინტეგრაცია.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად გაიზრდება მთავრობის ორიენტირება შედეგებზე. ამისთვის საჭიროა სწრაფვა ერთი მხრივ სწრაფი და ფართო ეფექტის მქონე ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისაკენ და მეორე მხრივ, სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული მასშტაბური სოციალური პროგრამების განხორციელებისაკენ.

საქართველოს მთავრობის სამოქმედო პრიორიტეტები 2009-2012 წლებისათვის

საქართველოს მთავრობის სამოქმედო პრიორიტეტებად 2009-2012 წლებისათვის განისაზღვრება:

ეროვნული უსაფრთხოება

- **საქართველოს გაწევრიანება NATO-ში** — ნატოში გაწევრიანების ყველა ეტაპის დასრულება და მოთხოვნების დაკმაყოფილება. საქართველო გახდება აღიანსის უსაფრთხოების სისტემის ორგანული კომპონენტი და არა მხოლოდ უსაფრთხოების „მიმღები“.
- **ტერიტორიული და სამოქალაქო რეინტეგრაცია** — საერთო სახელმწიფოებრივ პროცესებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეინტეგრაციის განხორციელება.
- **ევროკავშირთან ურთიერთობებში „ოთხი თავისუფლების პრინციპის“ უფრო ფართოდ გავრცელება** — საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა. საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისათვის თავისუფალი გადაადგილების ხარისხის ზრდა, უპირველეს ყოვლისა სტუდენტების, მეწარმეებისა და მეცნიერებისათვის.
- **რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების გაუმჯობესება** — თანამშრომლობის ურთიერთგაებისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაფუძნება. ეკონომიკური ურთიერთობების ტექნიკური შეზღუდვებისა და ბარიერების გარეშე განვითარება.

ეროვნული კეთილდღეობა

- ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკა**
ბოლო წლების ეკონომიკური კურსისა და დინამიკის შენარჩუნება.
- **ეკონომიკის სწრაფი ზრდა** — ეკონომიკის წლიურად საშუალოდ 9%-ით ზრდა. საქართველოს გადანაცვლება მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით „საშუალო-მაღალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფში“.
 - **ეკონომიკაში სახელმწიფოს წილის შემცირება** — მშპ-თან მიმართებით ბიუჯეტის ხარჯების წილის შემცირება.
 - **ინფლაციის სტაბილურად ერთნიშნა დონეზე შენარჩუნება** — პროფიციტული ბიუჯეტისა და გატარებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად საშუალოდ 8%-იანი ინფლაცია.
 - **უცხოური პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების და კერძო სექტორის მიერ მოზიდული დაფინანსების მოცულობის გაზრდა** — ყოველწლიურად ინვესტიციების მოცულობა მშპ-ის 10%-ზე მეტი.
 - **პროფიციტული ბიუჯეტები** — მომდევნო წლებში ბიუჯეტის პროფიციტულობის შენარჩუნება.

- დასაქმების, დაგროვებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საგადასახადო რეჟიმი – საშემოსავლო გადასახადის 15%-მდე შემცირება. საპროცენტო შემოსავლებზე და დივიდენდებზე გადასახადის გაუქმება;
- საქართველოს გადაქცევა საერთაშორისო საფინანსო ცენტრად – მთელი რეგიონის მასშტაბით ფინანსური რესურსების მოზიდვა, რაც დამყარებული იქნება მარტივ და დაბალ გადასახადებზე, გამჭირვალე საფინანსო რეგულირებაზე, რეფორმირებულ ეკონომიკაზე, რეგულირებად საგადასახადო სისტემაზე. სანდო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოქმედება საბანკო, სადაზღვევო, გადამზღვევი, ფასიანი ქალადებით ვაჭრობის სფეროებში. უკვე მიღებულია საქართველოს კანონი „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ“, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ფინანსური რესურსების მოზიდვას.
- „მოძავალი თაობების ფონდის“ და „სტაბილური განვითარების ფონდის“ ამოქმედება – საქართველოს პარლამენტის მიერ უკვე მიღებულია შესაბამისი საკონმდებლო პაკეტი, რომლის საფუძველზეც უახლოეს მოძავალში ამოქმედდება ფონდები;
- მშპ-ში მიმართებაში ექსპორტის წილის ზრდა – ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის, ეკონომიკური ზრდისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების განვითარების შედეგად ექსპორტზე ეკონომიკის მეტად ორიენტირება. – სახელმწიფო საკუთრებაში ძირი რაოდენობის ქონების არსებობა – პრივატიზების უფრო მოქნილი და ეფექტუანი ფორმების დაწერვა.
- გარანტირებული საკუთრების უფლება – საკონსტიტუციო, საკანონმდებლო ცვლილებებისა და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების შედეგად კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის ხარისხის ზრდა. საკუთრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ ასევე იმპლემენტაციის და აღქმის დონეზე.
- ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება – საერთაშორისოდ აღიარებული საკრედიტო კვლევებით შეფასებების მინიმუმ 3 ნიშნულით ზრდა.
- ქვეყნის საინვესტიციო გარემოს შეფასების გაუმჯობესება.

მოსახლეობის კეთილდღეობა

- სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯების წილის ზრდა ბიუჯეტში – სოციალური დანახარჯების ეფექტივიანობის და მიზნობრიობის ხარისხის ზრდა. ე.წ. „ბრტყელი“ დახმარების პრაქტიკის შეცვლა მიზნობრივი დახმარების პრინციპით.
- მზარდი ეკონომიკური აქტივობის შედეგად დასაქმების ზრდა – 10 მილიარდამდე მოცულობის უცხოური ინვესტიციის ხელშეწყობით 200 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა.
- სიღარიბის საგრძნობლად შემცირება – სოციალური პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობის შემცირება მათი ცხოვრების დონის გაუმჯობესების შედეგად.
- გატარებული საპენსიო რეფორმის შედეგად სოციალური პენსიის პაკეტის მოცულობისა და ხარისხის ზრდა – საპენსიო პაკეტის საგრძნობლად ზრდა, როგორც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი.
- ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარება – თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 100-ზე მეტი საავადმყოფოს სრულად ამოქმედება.
- სოფლად სამჯდიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა – სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სამედიცინო და 1000-ზე მეტი კარგად აღჭურვილი სოფლის ექიმის მომსახურებით.

- **სახელმწიფო/საკალიბებულო სადაზღვეო პოლისთ 1 000 000 ადამიანის უზრუნველყოფა** – სადაზღვეო პაკეტით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების ყველა წევრის, აგრეთვე სკოლის მასწავლებლების, შეიარაღებული ძალების საბრძოლო შემადგენლობასა და პოლიციელთა უზრუნველყოფა.
- **პროგრამა „ლირსეული დასაწყისი“ გაგრძელება** – ყველა ხელმოკლე ოჯახის ახალშობილზე მინიმუმ 1000 ლარის გადაცემა.

ლოგისტიკა, ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა

- **ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სრულფასოვნად ამოქმედება** – ინდუსტრიული ზონის მიერ 1.5 მლრდ ლარამდე ინვესტიციის მოზიდვა. უკვე შერჩეულია ინვესტორი, რომელიც ფოთის პორტის მიმდებარედ განვითარებს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას;
- **საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება** – მაგისტრალური ავტობანის აღმოსავლეთ სექტორის მშენებლობის დასრულება. დამატებით, საგზაო ფონდის დაახლოებით 30%-ის რეაბილიტირება.
- **საპარო მიმოსვლის ინტენსივობისა და მიმართულებების რაოდენობის ზრდა** – ავიაკომპანიების რიცვი და საპარო გზებით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის 2-ჯერ ზრდა. მინიმუმ სამი საერთაშორისო აეროპორტის არსებობა.
- **ჩინეთი-საქართველო-უკროპის სარკინიგზო მიმოსვლის შესაძლებლობების შექმნა** – ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის დასრულება და საქართველოს რკინიგზის თურქეთის რკინიგზასთან დაკავშირება.
- **დამატებით 500 მგვტ-ზე მეტი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრის შექმნა** – ჰიდრორესურსების პოტენციალის გამოყენების 13%-ით ზრდა. ენერგორესურსების საერთო წარმოებაში ჰიდრორესურსების წილის 90%-მდე ზრდა. 2008 წლის პირველ კვარტალში ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც აიგება 119 მგვტ სიმძლავრის მქონე ჰიდროელექტროსადგურების კასკადი;
- **ენერგოსისტემის ძალამობის ზრდა** – სექტორის შემდგომი დერეგულირება. ელექტროენერგიის გამომუშავება და მისი მიწოდება იქნება სტაბილიზირებული და დივერსიფიცირებული. ელექტროენერგიის უმეტესი ნაწილის განახლებადი რესურსების (ჰიდრორესურსების) გამოყენებით გამომუშავება. ენერგორესურსების იმპორტის წყაროების დივერსიფიცირების უზრუნველყოფა. ენერგოსისტემის მუშაობა მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებთან პარალელურ რეჟიმში.
- **ელექტროენერგიის ექსპორტის გაზრდა** – ელექტროენერგიის დადებითი სავაჭრო სალდოს შენარჩუნება და 2007 წელთან შედარებით 3-ჯერ გაზრდა.
- **სოფლის მოსახლეობის საწვავის წყაროების დივერსიფიცირება** – გაზითიკაციის პროგრამის განხორციელება. გაზის სექტორის დერეგულირებისა და დამატებითი კაპიტალის მოზიდვის შედეგად გაზითიცირებულ დასახლებათა რაოდენობის გაზრდა.
- **ტრანს-აზია-უკროპის ოპტიკურ-ბოჭურვანი საკაბელო მაგისტრალის (TAE) ამოქმედება** – დიდი მოცულობის ინფორმაციული ნაკადების გატარების უზრუნველყოფა ევროპასა და აზიას შორის.

- კომპიუტერით უზრუნველყოფილი მოსახლეობის 2-ჯერ ზრდა – ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფის უთანასწორობის მკვეთრად შემცირება.
- ელექტრონული გადახდების ხელმისაწვდომი საშუალებების ამოქმედება – ელექტრონული გადახდების განხორციელება, მათ შორის, ფიჭური მობილური კავშირის საშუალებით. ელექტრონული გადახდების ხელმისაწვდომი სისტემის ამოქმედება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ამოქმედდა გადასახადის ელექტრონული დეკლარირების სისტემა.

სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსები

- სოფლის მეურნეობის სექტორის ეფექტიანობის ზრდა და კომუნიკაცია – სასოფლო-სამეურნეო სექტორში საშუალო ფერმერული მეურნეობის წილი ზრდა. საირიგაციო სისტემებით მოცული ფართობის 2,5-ჯერ გაზრდა (130 ათასი ჰა-დან 300 ათას ჰა-მდე).
- 200-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა – 10 000-მდე ადამიანის დასაქმება, ხოლო პროცესში 100 000-მდე პირის ჩართვა.
- ბუნებრივი რესურსების მართვის კერძო სექტორის მიერ განახორციელება – ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადის გაზრდა, რაც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს ეკონომიკურ ეფექტიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, მინიმუმამდე შეაძლებელი გარემოზე მავნე ზემოქმედებას.

განათლება, კულტურა და სპორტი

- უმაღლესი სასწავლებლების კონკურენტუნარიანობის გაზრდა – პროგრამის „ცოდნის ქალაქი“ განხორციელების შედეგად უმაღლესი სასწავლებლების თანამედროვე საგანმანათლებლო და სასწავლო პროცესში ჩართვა. სწავლების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა.
- საჯარო საგანმანათლებლო სისტემის პრაღლელურად კერძო საგანმანათლებლო სექტორის განვითარება – კერძო ინვესტიციების განხორციელება, რეგიონის მასშტაბით ქვეყნის გადაქცევა წამყვან საგანმანათლებლო ცენტრად.
- ყველა საჯარო სკოლის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა – პროგრამა „ირმის ნახტომის“ ფარგლებში საშუალო სკოლების კომპიუტერებით აღჭურვა და ყველა სკოლის გლობალურ ქსელში ჩართვა.
- სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელება – მთელი საქართველოს მასშტაბით თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 50-მდე სპორტული კომპლექსის შექმნა. სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული სისტემით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდობული 3 000-მდე სპორტსმენის, ხოლო „გავანსაღების პროგრამის“ ფარგლებში – სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი 3 000-მდე ბავშვის დაფინანსება.

საჯარო სექტორი

—**საჯარო სექტორის ღირსებაზე დამყარებულ პრინციპებზე დაფუძნება** — საჯარო სექტორის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მისი მართვის პრინციპები მიუახლოვდება კერძო სექტორისას. საჯარო სამსახურში დაინერგება საკონტრაქტო სისტემის ელემენტები. დაინერგება საჯარო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების გაზომვადი მექანიზმები და მონიტორინგის მკაფიო კრიტერიუმები. შედეგად მივიღებთ მცირე, მოქნილ, გამჭვირვალე, ეფექტიან საჯარო სამსახურს. შეიქმნება მაღალი თანამდებობის პირებზე განსაკუთრებული ზედამხედველობის სისტემა.

—**ანტიკორუფციული რეფორმების შენარჩუნება და გააქტიურება** — საჯარო სამსახურში ქონებრივი და ფინანსური დეკლარირების სისტემის გაუმჯობესება. ეთიკის კოდექსის ნორმების დანერგვა. დაქირავებისა და დაწინაურების სისტემის გამჭვირვალობა. საჯარო და კერძო სექტორებს შორის მობილურობის გაზრდა.

—**ელექტრონული ხელმოწერისა და ერთიანი სამთავრობო ელექტრონული ქსელის დახურვა** — ელექტრონული ხელმოწერების და ღოკუმენტების გამოყენების დანერგვა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. აღნიშნულის განხორციელების მიზნით უკვე მიღებულია საქართველოს კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული ღოკუმენტის შესახებ“.

თავდაცვისა და სამართალდამცავი სისტემა

—**ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი შეიარაღებული ძალების ფორმირების დასრულება** — საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიულ საწყისებზე სრულად გადსვლა. შეიარაღებული ძალების მართვის ოპტიმიზაციის განხორციელება. მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლება

—**სააღსრულებო სისტემის რეფორმა განხორციელება** — სასამართლო გადაწყვეტილებების დროულად და ეფექტიანად აღსრულების ხარისხი ზრდა.

—**პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება** — საპატიმრო ადგილების რეაბილიტაცია, საყოფაცხოვრებო პირობების, კვებისა და ჯანდაცვის გაუმჯობესება. პრობაციის სიტემის ეფექტიანობის გაზრდა. პატიმართა უფლებების დაცვისა და რესოციალიზაციის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება.

—**პოლიციის მხრიდან საქუთრებისა და სიცოცხლის უფლების დაცვის ხარისხის გაძლიერება** — პოლიციისადმი საზოგადოების ნდობის ზრდა. კრიზისული სიტუაციების მართვის სისტემის გაუმჯობესება. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, პოლიციელთა მომზადების მუდმივმოქმედი მექანიზმების დანერგვა

მაკროეკონომიკა

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები

საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ:

- ეკონომიკის მდგრადი და მაღალი ტემპით ზრდა;
- ინფლაციის ერთნიშნა მაჩვენებლის შენარჩუნება;
- საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესება;

მაკროეკონომიკური მიმოხილვა და პროგნოზი

2005-2007 წლებში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიურმა ზრდამ 10.5 პროცენტი, ხოლო საშუალო წლიურმა ინფლაციამ 8.9 პროცენტი შეადგინა (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	პროგ.	პროგ.	პროგ.	პროგ.	პროგ.
რეალური მშპ (ზრდის ტემპი)	9.6	9.4	12.4	7.5	10.0	9.5	9.0	8.5
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	11621.0	13789.9	16998.6	19736.7	23666.2	28118.9	33104.0	38433.8
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	1478.4	1758.7	2315.4	2994.0	3846.5	4847.3	5884.9	6940.9
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში)	8.3	9.2	9.2	8.0	9.0	8.5	8.0	7.0
მიმდინარე ანგარიში (პროცენტულად მშპ-თან)	-10.8	-15.3	-19.0	-18.9	-16.6	-13.6	-10.4	-8.0

ა. ეკონომიკური ზრდა

მიმოხილვა

2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 12.4 პროცენტი შეადგინა და ნომინალურ გამოხატულებაში 17.0 მლრდ ლარს გაუტოლდა.

სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის დარგებმა განაპირობეს მშპ-ის 6.3 პროცენტით ზრდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო მატების 50.8 პროცენტია.

მრეწველობა

2007 წელს მრეწველობის დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება 12.5 პროცენტით გაიზარდა.

2007 წლის განმავლობაში ზრდას ჰქონდა ადგილი მრეწველობის დარგის სამივე სფეროში. მათ შორის:

გადამამუშავებელ მრეწველობაში წარმოების მოცულობამ 13.7 პროცენტით მოიმატა. ელექტროენერგიის, აირისა და წყალმომარაგების სფერო 5.5 პროცენტით გაიზარდა. სამთომომპოვებელ მრეწველობაში 20.2 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა.

მრეწველობის წილი მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში 2006 წელთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.8 პროცენტი შეადგინა.

2007 წელს მრეწველობის დარგმა მშპ-ის 1.5 პროცენტით ზრდა განაპირობა.

სოფლის მეურნეობა

2006 წლისაგან განსხვავებით, 2007 წელს ზრდა დაფიქსირდა სოფლის მეურნეობაში.

დარგში შექმნილი რეალური დამატებული ღირებულება 8.8 პროცენტით გაიზარდა.

სოფლის მეურნეობის ხარჯზე მშპ 1.0 პროცენტით გაიზარდა.

ინფრასტრუქტურა, ვაჭრობა და საფინანსო საქმიანობა

2007 წელს მშპ-თან შედარებით სწრაფი ტემპებით ვითარდებოდნენ მშენებლობის, სასტუმროებისა და რესტორნების, ტრანსპორტის, საფინანსო საქმიანობისა და ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობის დარგები.

ამ დარგებში შექმნილი დამატებული ღირებულება, 2006 წელთან შედარებით, გაიზარდა შესაბამისად: მშენებლობაში 14.3 პროცენტით, სასტუმროებსა და რესტორნებში 13.5 პროცენტით, ტრანსპორტში 14.4 პროცენტით, საფინანსო საქმიანობაში 14.7 პროცენტით და ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობის დარგში 14.8 პროცენტით.

პროგნოზი

მთლიანი შიდა პროდუქტი

2008 წელს, წინა წელთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი სავარაუდოდ 7.5 პროცენტით გაიზრდება და ნომინალურ გამოხატულებაში 19.7 მლრდ ლარს გადააჭარბებს (ნახ. 1).


საშუალოვადიან პერიოდში (2009-2012 წლები) მშპ-ის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებელი სავარაუდოდ 9.0 პროცენტის ფარგლებში იქნება.

ინვესტიციები და სამომხმარებლო ხარჯები


2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, კერძო ინვესტიციების მოსალოდნელი ნომინალური მოცულობა გაიზარდება და მშპ-ის 31 პროცენტს მიაღწევს. შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში კერძო ინვესტიციებს ზრდის ტენდენცია ექნება და 2012 წლისათვის სავარაუდოდ მშპ-ის 32 პროცენტამდე იქნება.

2008 წელს სავარაუდოდ 9.0 პროცენტით გაიზრდება რეალური სამომხმარებლო ხარჯების მოცულობა. ზრდის ტენდენციას ექნება ადგილი 2009-2012 წლებშიც.

ნახ. 1 ნომინალური მშპ-ის დინამიკა (მლნ ლარი)



ნახ. 2. მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)



ბ. საგარეო სექტორი

მიმღინარე ანგარიშის დეფიციტი

2007 წელს 2006 წელთან შედარებით, მიმღინარე ანგარიშის დეფიციტი გაიზარდა და -1917.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2007 წელს გაიზარდა მიმღინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებელიც და მშპ-ის 18.8 პროცენტი შეადგინა. 2006 წლისათვის ანალოგიური მაჩვენებელი 15.3 პროცენტს უდრიდა.

2007 წელს მიმღინარე ანგარიშის დეფიციტის ასეთი მატება მნიშვნელოვნად განაპირობა უცხოური კაპიტალის შემოდინებამ, რადგან უცხოური ინვესტიციების მატებამ გაზარდა მოთხოვნა საიმპორტო საქონელზე და შესაბამისად გაიზარდა იმპორტის მოცულობა.

სავაჭრო ბრუნვა

2007 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 7080.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2006 წლის შესაბამის მაჩვენებელს 32.3 პროცენტით აღემატება.

სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტი შეადგენს 2104.1 მლნ აშშ დოლარს (გაიზარდა 26.3%-ით), ხოლო იმპორტი 4976.5 მლნ აშშ დოლარს (გაიზარდა 35.0%-ით).

2007 წელს საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო სალდომ მოიმატა და -2872.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2007 წელს, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე თურქეთია. მისი წილი მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 13.9 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზე 10.4 პროცენტით უკრაინაა, შემდეგ მოდიან რუსეთი (9.8 პროცენტი), აზერბაიჯანი (8.0 პროცენტი) და გერმანია (6.9 პროცენტი).

ექსპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს. ამ ქვეყნის წილად მოდის მთლიანი ექსპორტის 13.9 პროცენტი. მეორე ადგილზე 12.1 პროცენტით აშშ, მესამეზე აზერბაიჯანი 11.1 პროცენტით, ხოლო მეოთხეზე 8.9 პროცენტით სომხეთია.

იმპორტის მიხედვით ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე თურქეთია. მისი წილი მთლიან იმპორტში 14.0 პროცენტია. მეორე ადგილი 11.1 პროცენტით რუსეთს, მესამე კი 11.0 პროცენტით უკრაინას უჭირავს.

2007 წელს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურის მიხედვით საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 12.9 პროცენტით ფეროშენადნობებია, შემდეგ მოდიან შავი ლითონების ჯართი (7.8 პროცენტი), სპილენძის მაღნები და კონცენტრატები (6.4 პროცენტი) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე 10.7 პროცენტით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები, რომელთა ნაწილი შემდგომში გადის ექსპორტზე (7.1 პროცენტი), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (5.6 პროცენტი) და ა.შ.

პროგნოზი

სავაჭრო ბრუნვა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი

საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა.

პროგნოზული გათვლებით, 2008 წელს 2007 წელთან შეადარებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილი მშპ-ის მიმართ მნიშვნელოვნად არ შეიცვლება. 2009-2012 წლებში კი ექსპორტის ზრდის ტემპები გადააჭარბებს იმპორტის ზრდის ტემპებს და შესაბამისად შემცირდება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებელი.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის წილი მშპ-ის მიმართ 2008 წლისათვის -18.9 პროცენტის, ხოლო 2009 წლისათვის კი -16.6 პროცენტის დონეზეა მოსალოდნელი. გარეანი შოკების არარსებობის შემთხვევაში აღნიშნული ტენდეცია შენარჩუნებული იქნება შემდგომ წლებშიც და 2012 წლისათვის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფარდობითი მაჩვენებელის მნიშვნელობა საგარაუდოდ -8.0 პროცენტის ფარგლებში იქნება.

გ. მონეტარული სექტორი

მიმოზილვა

სამომხმარებლო ფასები

2007 წლის დეკემბერში, 2006 წლის დეკემბერთან შედარებით, სამომხმარებლო ფასები 11.0 პროცენტით გაიზარდა, ხოლო სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 9.2 პროცენტით მოიმატა.

2007 წლის ინფლაციაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის (გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით) სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო ფასების საერთო დონე გაზარდეს: სურსაომა და უალკოჰოლო სასმელებმა 5.7 პროცენტით, საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეებმა 2.4 პროცენტით, ტრანსპორტმა 1.4 პროცენტით.

ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ

2007 წლის განმავლობაში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ ამაღლების ტენდეციით ხასიათდებოდა.

2007 წლის ბოლოს ლარის კურსმა 1.59 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე, რაც 7.1 პროცენტით ნაკლებია 2006 წლის ბოლოსათვის არსებულ მაჩვენებელზე.

ლარის საშუალო წლიური კურსი კი 6.0 პროცენტით გამყარდა და 1.67 ლარი/აშშ დოლარის დონეზე დაფიქსირდა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკის მონაცემებით რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი ფაქტიურად არ შეცვლილა.

ფულის მასა

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2007 წლის ბოლოს, 2006 წლის ბოლოსთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა 40.1 პროცენტით გაიზარდა და 1781.8 მლნ ლარს გაუტოლდა.

2007 წლის დეკემბრის ბოლოსათვის M3 ფართო ფულის აგრეგატის მოცულობამ 4027.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 49.7 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე პერიოდში M2 ფულის მასა 54.3 პროცენტით გაიზარდა.

გასული წლის განმავლობაში დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 45.2 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში კი 76.5 პროცენტით გაიზარდა.

იცვლებოდა ფულის მულტიპლიკატორიც. წინა წელთან შედარებით M3-ის მულტიპლიკატორმა 0.15 პუნქტით მოიმატა და 2.26 გაუტოლდა, ხოლო M2-ის მულტიპლიკატორი 0.12 პუნქტით გაიზარდა და 1.21 შეადგინა.

2007 წელს დოლარიზაციის კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით 4.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 65.3 პროცენტს გაუტოლდა.

ფულის მიმოქცევის სიჩქარე M3 ფულის აგრეგატის მიხედვით 0.9 ერთეულით შემცირდა და 4.2 შეადგინა. M2-თვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 7.9 გაუტოლდა, რაც 2.0 ერთეულით ნაკლებია 2006 წლის შესაბამის მნიშვნელობაზე.

საპროცენტო განაკვეთები

2007 წელს 2006 წელთან შედარებით საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ეროვნულ ვალუტაში 1.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21.1 პროცენტს გაუტოლდა. უცხოურ ვალუტაში კი სესხებზე საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და 17.4 პროცენტი შეადგინა.

საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე ეროვნულ ვალუტაში 0.1 პროცენტული პუნქტით, უცხოურ ვალუტაში კი 0.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შესაბამისად 10.2 პროცენტი და 8.4 პროცენტი შეადგინა.

პროგნოზი

პროგნოზული შეფასებებით 2008 წლისათვის სამომხმარებლო ფასები სავარაუდოდ 8.0 პროცენტით გაიზრდება. 2009-2012 წლებისათვის სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ცვლილება კი 7-9 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი.

საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია ფულის მიმოქცევის სიჩქარის შემცირება როგორც M3-თვის, ისე M2-თვის. ფულის მულტიპლიკატორებისათვის კი ზრდის ტენდეციაა მოსალოდნელი.

დ. დასაქმება და უმუშევრობა

მიმოხილვა

სტატისტიკური მონაცემებით 2006 წელს ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობამ 1747.3 ათასი კაცი შეადგინა. დასაქმებულთა 34.6 პროცენტი დაქირავებით იყო დასაქმებული, ხოლო 65.4 პროცენტი კი თვითდასაქმებული.

2006 წელს 2005 წელთან შედარებით უმუშევრობა რაოდენობა 1.7 პროცენტით შემცირდა და უმუშევრობის დონემ 13.8 პროცენტი შეადგინა.

პროგნოზი

საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელია უმუშევრობის დონის შემცირება.

2008-2012 წლებში უმუშევრობის შემცირება ძირითადად განხორციელდება ეკონომიკური ზრდის ხარჯზე.

ფისკალური პოლიტიკა

2007 წელს 2006 წელთან შედარებით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების წილმა მშპ-ის მიმართ 2.5 პროცენტით მოიმატა, ხოლო სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობა 1.5-ჯერ გაიზარდა.

2007 წელს, წინა წელთან შედარებით, 6.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა მთავრობის ვალის წილი მშპ-თან მიმართებაში და 25.5 პროცენტს გაუტოლდა.

გრძელვადიანი პერიოდისთვის **მთავრობის სტრატეგია** ფისკალური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს:

- ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას;
- მაკროეკონომიკურ სტაბილურობას;
- ხარჯების ზრდას პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
- საფინანსო წესრიგის გაძლიერებას;

2009-2012 წლებისთვის **ფისკალური პოლიტიკის ამოცანებს** წარმოადგენს:

- ხარჯების მიმართვა ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა სოციალური სფერო, ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, უსაფრთხოება და მართლწესრიგი;
- პროფიციტული ბიუჯეტის დაგეგმვა;
- ბიუჯეტის ხარჯების წილის შემცირება მშპ-თან მიმართებაში;
- კანონმდებლობით უკვე შექმნილი სპეციალური ფონდების ამოქმედება;

აღნიშნული მიზნების მისაღწევად განხორციელდება:

- საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი ლიბერალიზაცია:
 - ხუთი წლის განმავლობაში ეტაპობრივად საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შემცირდება 25 პროცენტიდან 15 პროცენტამდე;
 - მოხდება დივიდენდებისა და პროცენტების გადასახადის განულება;
- სახელმწიფო ხარჯების მენეჯმენტის შემდგომი სრულყოფა;

**ცხრილი 2. მირითადი ფისკალური ინდიკატორები 2005-2012 წლებში
(პროცენტულად მშპ-თან)**

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
შემოსავლები	24.2	26.8	29.3	28.5	26.4	25.8	25.5	24.8
გადასახადები	17.1	19.2	21.6	24.7	24.4	24.3	24.3	23.7
სოციალური შენატანები	3.7	3.6	4.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გრანტები	0.9	1.2	0.6	0.9	0.7	0.6	0.5	0.4
სხვა შემოსავლები	2.5	2.7	2.8	2.9	1.2	1.0	0.8	0.7
ხარჯები	20.1	22.2	25.0	25.2	21.4	21.0	20.6	19.8
შრომის ანაზღაურება	4.7	4.1	4.0	5.2	5.2	5.2	5.2	5.2
საქონელი და მომსახურება	4.9	5.6	9.3	7.7	4.9	4.9	4.8	4.3
პროცენტი	1.0	0.8	0.6	0.9	0.7	0.6	0.5	0.4
სუბსიდიები	3.8	2.4	2.3	2.1	1.4	1.2	1.0	0.8
გრანტები	0.0	0.0	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	4.8	5.5	5.0	6.6	6.6	6.6	6.6	6.6
სხვა ხარჯები	0.9	3.8	3.7	2.7	2.5	2.5	2.5	2.5
საოპერაციო სალდო	4.1	4.5	4.2	3.3	5.0	4.9	4.9	4.9
არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	1.9	1.2	3.4	3.2	4.6	4.7	4.7	4.7
მთლიანი სალდო	2.2	3.4	0.8	0.1	0.4	0.2	0.2	0.2
ფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	0.2	1.2	0.3	4.3	0.3	0.2	0.2	0.2
ვალდებულებებს წმინდა ზრდა	-1.4	-0.9	0.0	4.2	0.1	0.1	0.1	0.0
დეპოზიტებზე ნაშთის ცვლილება (+ ზრდა)	0.6	1.3	0.5	0.0	0.1	0.1	0.1	0.1

2007 წლის საბიუჯეტო შემოსულობების ანალიზი

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში 2007 წელს მობილიზებულ იქნა 4 972.6 მლნ ლარი, რაც 34.6 პროცენტით მეტია 2006 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ მისი წილი 29.3 პროცენტამდე ამაღლდა. (ცხრილი 3)

ცხრილი 3. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები

მლნ. ლარი

დასახლება	ნაერთი ბიუჯეტი					
	2007				%	
	გეგმა	ფაქტი	+/-	%	შპ	2007/2006
შემოსავლები	4,877.2	4,972.6	81.6	102.0	29.3	134.6
გადასახადი	3,625.5	3,669.1	66.3	101.2	21.6	138.6
საშემოსაქლო გადასახადი	519.6	526.8	7.1	101.4	3.1	136.5
მოგების გადასახადი	556.5	554.8	-1.7	99.7	3.3	162.6
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,942.2	1,973.7	31.4	101.6	11.6	148.1
აქციზი	428.0	428.6	0.6	100.1	2.5	127.7
საბაზო გადასახადი	49.5	52.0	2.5	105.0	0.3	39.2
ქონების გადასახადი	106.2	107.9	1.7	101.6	0.6	125.7
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	23.5	25.4	1.9	108.0	0.1	77.1
სოციალური ზენატავები	699.3	722.0	22.8	103.2	4.2	143.6
გრატევი	99.9	102.1	23.8	102.1	0.6	60.9
სხვა შემოსავლები	452.5	479.5	32.9	106.0	2.8	127.0

შენიშვნა: ცხრილი გაკეთებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

გადასახადების სახით მობილიზებულ იქნა 3 669.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლზე 1.2 პროცენტით მეტია. 2006 წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობამ 38.6 პროცენტით მოიმატა. მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ მისი წილი 21.6 პროცენტამდე ამაღლდა.

საშემოსავლო გადასახადის სახით 2007 წელს მობილიზებულ იქნა 526.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 101.4 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 36.5 პროცენტით გაიზარდა და მშპ-ის მიმართ 3.1 პროცენტი შეადგინა. საშემოსავლო გადასახადის წილი გადასახადებში 14.4 პროცენტია.

ცხრილი 4. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 2005-2007 წლებში

მლნ ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2005	2006	2007
შემოსავლები	2,810.3	3,694.6	4,972.6
გადასახადები	1,982.7	2,646.5	3,669.1
საშემოსავლო გადასახადი	290.8	385.9	526.8
მოგების გადასახადი	210.3	341.1	554.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	987.4	1,332.7	1,973.7
აქციზი	286.4	335.6	428.6
საბაჟო გადასახადი	123.4	132.4	52.0
ქონების გადასახადი	60.4	85.8	107.9
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	24.0	32.9	25.4
სოციალური შენატანები	428.8	502.8	722.0
ბრანდები	104.6	167.6	102.1
სხვა შემოსავლები	294.3	377.6	479.5

შენიშვნა: ცხრილი გაკეთებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით

მოგების გადასახადის სახით 2007 წელს მობილიზებულ იქნა 554.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 99.7 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 62.6 პროცენტით გაიზარდა და მშპ-ის მიმართ 3.3 პროცენტი შეადგინა. მოგების გადასახადის წილი გადასახადებში 15.1 პროცენტია.

დამატებული ღირებულების გადასახადის სახით 2007 წელს მობილიზებულ იქნა 1 973.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 101.6 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 48.1 პროცენტით გაიზარდა და მშპ-ის მიმართ 11.6 პროცენტი შეადგინა. დამატებული ღირებულების გადასახადის წილი გადასახადებში 53.8 პროცენტია.

აქციზის სახით, რომლის წილი გადასახადებში 11.7 პროცენტია, მობილიზებულ იქნა 428.6 მლნ ლარი. ეს წინა წლის ფაქტიურ მაჩვენებელთან შედარებით 27.7

პროცენტით მეტია და საპროგნოზო მაჩვენებლის 100.1 პროცენტს შეადგენს. აქციზის წილი მშპ-ის მიმართ 2.5 პროცენტია.

საბაჟო გადასახადის სახით, რომლის წილი გადასახადებში 1.4 პროცენტია, მობილიზებულ იქნა 52.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 105.0 პროცენტს შეადგენს. საბაჟო გადასახადის წილი მშპ-ის მიმართ 0.3 პროცენტია.

სხვა შემოსავალების სახით 2007 წელს მობილიზებულ იქნა 479.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (452.5 მლნ ლარი) 106.0 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 27.0 გაიზარდა. მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.8 პროცენტია. სხვა შემოსავლების წილი შემოსულობების 7.9 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი 5. შემოსულობები ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების შემცირებიდან

მლნ ლარი

დასახლება	ნაერთი ბიუჯეტი					
	2007				%	
	გეგმა	ფაქტი	+/-	%	მშპ	2007/2006
არაფინანსური აქტივები	906.2	888.7	-17.5	98.1	5.2	123.7
მირითადი აქტივები	837.9	819.5	-18.4	97.8	4.8	145.2
არაწარმოქმული აქტივები	68.3	69.2	0.9	101.3	0.4	44.9
რადიოსისხმირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	68.3	69.2	0.9	101.3	0.4	44.9

შენიშვნა: ცხრილი გაკეთებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან 2007 წელს მობილიზებულ იქნა 888.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (906.2 მლნ ლარი) 98.1 პროცენტია. მობილიზებული თანხები წინა წელთან შედარებით 23.7 გაიზარდა. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 5.2 პროცენტს გაუტოლდა. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობების 14.7 პროცენტს შეადგენს. (ცხრილი 5)

**ცხრილი 6. შემოსულობები ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების შემცირებიდან 2005-2007
წლებში**

მლნ ლარი

დ ა ს ა ზ ე ლ ე ბ ა	2005	2006	2007
არაფინანსური აქტივები	438.0	718.7	888.7
ძირითადი აქტივები	419.4	564.5	819.5
არაწარმოებული აქტივები	18.6	154.2	69.2
რაღოციანშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	18.6	154.2	69.2

შენიშვნა: ცხრილი გაკეთებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან 2007 წელს მობილიზებულ იქნა 171.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (165.3 მლნ ლარი) 103.6 პროცენტია. ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 1.0 პროცენტს მიაღწევს. ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობების 2.8 პროცენტს შეადგენს.

2008 წლის საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზი

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზული გათვლების გაკეთებისას გათვალისწინებული იქნა ფისკალურ სფეროში მომხდარი ცვლილებები და მათი შესაძლო შედეგები.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობის ზრდა 2008 წელს განისაზღვრა 13.0 პროცენტის ფარგლებში, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 28.5 პროცენტს გაუტოლდა.

ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების მოცულობის ზრდა განისაზღვრა 32.9 პროცენტის ფარგლებში, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 24.7 პროცენტს გაუტოლდა, მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადის მოცულობის ზრდა განისაზღვრა 159.5 პროცენტით, ხოლო მშპ-ს მიმართ – 6.9 პროცენტის ფარგლებში;

მოვების გადასახადის მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 2.7 პროცენტია;

დამატებული ღირებულების გადასახადის მოცულობის ზრდა განისაზღვრა 14.5 პროცენტით, ხოლო მშპ-ს მიმართ – 11.4 პროცენტის ფარგლებში;

აქციზის მოცულობის ზრდა განისაზღვრა 9.7 პროცენტით, ხოლო მშპ-ს მიმართ – 2.4 პროცენტის ფარგლებში;

ქონების გადასახადის მოცულობის ზრდა განისაზღვრა 27.0 პროცენტით, ხოლო მშპ-ს მიმართ – 0.7 პროცენტის ფარგლებში;

სხვა შემოსავლების მოცულობის ზრდა განისაზღვრა 18.1 პროცენტით, ხოლო მშპ-ს მიმართ – 2.9 პროცენტის ფარგლებში;

2008 წელს ნაერთი ბიუჯეტის **არაფინანსური აქტივების** რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 2.2 პროცენტს გაუტოლდა.

ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 0.2 პროცენტია.

2009-2012 წლების შემოსულობების პროგნოზი

საშუალოგადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლების გაკეთებისას გათვალისწინებულ იქნა ფისკალურ სფეროში მომხდარი ცვლილებები და მის მიერ გამოწვეული შესაძლო შედეგები. პროგნოზული გათვლებით, 2009-2012 წლებში, ზრდის ტენდენცია ექნება ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას. (იხ. დანართი №3)

საპროგნოზო პერიოდში ყოველწლიურად შემოსავლების მოცულობა საშუალოდ 14 პროცენტით გაიზრდება. რაც შეეხება გადასახადებს, სავარაუდოდ მისი ყოველწლიური ნომინალური ზრდა 17 პროცენტის ფარგლებში იქნება მოსალოდნელი.

2009 წელს სავარაუდოდ 11.0 პროცენტით გაიზრდება **ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით. პროგნოზული გათვლებით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტენდენციას ექნება ადგილი 2010-2012 წლებშიც. 2009 წლისთვის **ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებლების მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 26.4 პროცენტს მიაღწევს.

2009 წელს **ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების** მოცულობის ზრდა 18.6 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მისი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 24.4 პროცენტს გაუტოლდება.

2010 წლისთვის საგადასახადო შემოსავლების მოცულობის წილი მშპ-თან მიმართებაში სავარაუდო შემცირდება 24.3 პროცენტამდე.

მშპ-სთან გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლების შემცირება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირებისას გათვალისწინებულ იქნა საგადასახადო კოდექსში გასატარებელი ცვლილებები, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შემცირება (2009 წელი - საშემოსავლო გადასახადი – 24.0%, პროცენტების და დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლის დასაბეგრი განაკვეთი – 9%, 2010 წელი - საშემოსავლო გადასახადი – 22.0%, პროცენტების და დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლის დასაბეგრი განაკვეთი – 7%, 2011 წელი - საშემოსავლო გადასახადი – 20.0%, პროცენტების და დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლის დასაბეგრი განაკვეთი – 5%, 2012 წელი - საშემოსავლო გადასახადი – 18.0%, პროცენტების და დივიდენდების სახით

მიღებული შემოსავლის დასაბეგრი განაკვეთი – 3%, 2013 წელი - საშემოსავლო გადასახადი – 15.0%, პროცენტების და დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლის დასაბეგრი განაკვეთი – 0%).

2009 წელს ნაერთი ბიუჯეტის **სხვა შემოსავლების** წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სავარაუდოდ 1.2 პროცენტს გაუტოლდება.

2009 წელს ნაერთი ბიუჯეტის **არაფინანსური აქტივების** რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 0.1 პროცენტს გაუტოლდება. წინა წელთან შედარებით შემცირება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდების შესახებ“ და „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის **არაფინანსური აქტივების** რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობები მიიმართება „მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდებში“ და არ პოვებს ასახვას სახელმწიფო ბიუჯეტში. ამდენად, 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში გათვალისწინებულია მხოლოდ თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის **არაფინანსური აქტივების** რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობა.

ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 0.1 პროცენტია.

2007 წლის გამოყოფილი ასიგურებების მოკლე მიმოხილვა

2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმიური მაჩვენებელი 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,4-ჯერ, ხოლო 2004 წლის მაჩვენებელს 1,9-ჯერ აღემატება. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სრულად შესრულდა წლიური საბიუჯეტო კანონის ფარგლებში აღებული ვალდებულებები.

2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ქვეყნის სტრატეგიული მიმართულებების დაფინანსებას. ამ პერიოდში გატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- მნიშვნელოვანი სახსრები, 1 500.3 მლნ ლარი, მიმართულ იქნა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე. რომლის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი მნიშნელოვანი ღონისძიებები: ეტაპობრივად მიმდინარეობდა რიგი სამხედრო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების ზრდა, სპეციული და შეიარაღებული ძალებისათვის მეტად საჭირო სპეციალობებიდან გამომდინარე, მოსამსახურეთათვის დაწესდა სპეციალური დანამატები, აგრეთვე მიმდინარეობდა ოფიცერთა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა. მიმდინარეობდა მოძველებული საბჭოთა შეიარაღების ჩანაცვლება ახალი თანამედროვე აღჭურვილობით; შეკეთდა, როგორც სამხედრო-საზღვაო ძალების, ისე სახმელეთო და საპატიო ჯარების სამხედრო სპეცტექნიკა; ჩატარდა საველე სწავლება „მხედარი-2007“, ხოლო საქართველოს ტერიტორიულ წყლებში – საქართველოსა და სავრანგეთის საზღვაო ძალების ერთობლივი წვრთნა;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობდა ფართომასშტაბიანი რეფორმები NATO-ს სტანდარტებთან შესაბამისობის დონის ამაღლებისათვის, როგორც შეიარაღებისა და ტექნიკის, ასევე სტრუქტურული და ორგანიზაციული მოწყობის მხრივ;
- საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების, განმტკიცებისა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური ქსელის გაფართოების მიზნით გაიხსნა 4 ახალი საელჩო და ერთი გენერალური საკონსულო;
- გაიზარდა საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოებაზე დაცვის უზრუნველყოფაზე გამოყოფილი სახსრები და 684.5 მლნ ლარი შეადგინა;
- მინიმალური სახელმწიფო პენსიის ოდენობა გაიზარდა 55 ლარამდე. აგრეთვე, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო შრომითი სტაჟის მიხედვით სახელმწიფო პენსიის დანამატების გაცემა;
- დაიწყო ხელმოკლე ოჯახებში დაბადებული ახალშობილების დახმარების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა „ღირსეული დასაწყისი“, რომლის ფარგლებშიც ხელმოკლე ოჯახებში დაბადებულ ყოველ ახალშობილ ბავშვზე გაიცა 1000 ლარი;
- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში საარსებო შემწეობის მიმღებ 89 000 ოჯახზე გაიცა შესაბამისი დახმარებები; აღწერილ იქნა დევნილთა კომპაქტური ჩასახლების 1764 ცენტრი, 64 ობიექტზე განხორციელდა სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები.

• ეკომიგრანტებისათვის ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში შეძენილ იქნა 187 საცხოვრებელი სახლი;

• მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ, ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა საჯარო სკოლების პედაგოგებზე, პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებზე 50-50 ლარის ღირებულების ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ვაუჩერების გაცემა, ხოლო მუნიციპალიტეტებში სოციალურად დაუცველ ოჯახებს გაეწიათ ერთჯერადი დახმარება საკვები პროდუქტების სახით. აგრეთვე, თითოეულ ოჯახს დაურიგდა 50 კილოგრამი ფქვილი;

• სულ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებზე მიმართულ იქნა 1 018.2 მლნ ლარი, რომელიც 190.1 მლნ ლარით აღემატება 2006 წლის შესაბამის მაჩვენებელს;

• გაგრძელდა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა. 2007 წელს ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვამ შეადგინა 21.5 მლნ ლარი;

• ზამთრის პერიოდში საქართველოს მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფის მიზნით „პრეზიდენტის პროგრამის 5 მ³ სათბობი შეშა თითოეულ ოჯახს“ ფარგლებში დაიბეჭდა შეშის მიღიონი ვაუჩერი, ხოლო მოსახლეობაში დარიგდა დაახლოებით რვაასი ათასი ეგზემპლარი. ამასთან, გამოყოფილ იქნა სპეციალური ჭრის ტყეეპაფები, გაცემულ იქნა 576,7 ათასი მ³ სათბობი შეშა;

• მკვეთრად გაუმჯობესდა პატიმართა და მსჯავრდებულთა ყოფითი პირობები, რაც გულისხმობს როგორც კვების ულუფის ნორმის ზრდას 80 ლარამდე და სამედიცინო სადაზღვევო მომსახურებაზე გადასვლას, ასევე ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულებების მშენებლობასა და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძველი შენობების შეკეთება-მოდერნიზებას;

• პროგრამის „დასაქმება 2007: დასაქმება მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერით,“ ფარგლებში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელდა ტურიზმის სექტორში მომუშავე მცირე და საშუალო ზომის 108 საწარმოს დაკრედიტება;

• პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების განახლების ხელშეწყობა“ ფარგლებში შეძენელ იქნა ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები, რომლებიც გადაეცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ოურიდიულ/ფიზიკურ პირებს და მუნიციპალიტეტებს;

• სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეურნეო სუბიექტებისა და ქონების განსახლებულივების სტრატეგიის ფარგლებში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ პრივატიზებულ იქნა 400-მდე ობიექტი და 156.5 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი;

• მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ქვეყანაში ენერგეტიკის სექტორის სტაბილური განვითარებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის: სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა ვარდნილპესის №2, ლაჯანურპესის №2 და ხრამპესი-2-ის №2 პიდროაგრეგატზე; დამთავრდა „საკენიპესის“ მშენებლობა, რომელიც სრულყოფილად მოამარაგებს კოდორის ხეობის სოფლებს; დამთავრდა კეხვიპესის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა დიდი ლიახვის სოფლების ელექტრომომარაგება. აგრეთვე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა ელექტროენერგიით და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები, რის შედეგადაც განხორციელდა ქვეყნის ენერგოდეფიციტის დაბალანსება;

- საქართველოს საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ჩატარდა საერთაშორისო და შიდა მნიშვნელობის გზებზე სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოები. მოეწყო ახალი ა/ბეტონის საფარი, ჩატარდა ერთმაგი და ორმაგი ზედაპირული დამუშავების სამუშაოები, შეკეთდა და აღდგენილ იქნა ხიდები, მილები, გზაგამტარები და სხვა. სულ საგზაო სამუშაოები შესრულებულია 570 კმ სიგრძის საავტომობილო გზებზე;

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთ მოსწავლეზე გათვლილმა ფინანსურმა ნორმატივმა 235 ლარიდან მიაღწია 300 ლარს. შესაბამისად, მასწავლებლთა საბაზო ხელფასმა განიცადა ცვლილება და 125 ლარიდან მიაღწია 195 ლარს;

- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პედაგოგების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწია გალის რაიონის სკოლების 800-მდე მუშაკს და ცხინვალის რეგიონის თიღვის, ერელვისა და ქურთის თემის საჯარო სკოლების 550-მდე მუშაკს;

- პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია“ ფარგლებში გრძელდებოდა სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მოეწყო სპორტული მოედნები. გაიხსნა პროფესიული სწავლების 9 ცენტრი, პირველკლასელებს გადაეცათ სასკოლო ფორმები, ჩანთები და სახელმძღვანელოები, დარიგდა სასკოლო და სპორტული ინვენტარი, დახმარება აგრეთვე გაეწიათ საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სკოლებს;

- ქ. ქობულეთში 200-მდე ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დასვენება დააფინანსა სახელმწიფომ;

- „უსაფრთხო სკოლა“ პროგრამის ფარგლებში გატარდა შესაბამისი ღონისძიებები სკოლებში უსაფრთხო სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად;

- საქართველოს რეგიონებში აღდგა სპორტული კომპლექსები, შეიქმნა ახალი მულტიფუნქციური სამოყვარულო სპორტული მოედნები და დარბაზები, ხელოვნური საფარით მოეწყო 50-მდე მინისაფეხბურთო მოედანი;

- განხორციელდა მთელი რიგი სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაცია; საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნდა 300-მდე სახელოვნებო და სასპორტო სკოლა, ხოლო სამუზეუმო რეფორმის ფარგლებში - 8 მუზეუმ-ნაკრძალი და 11 მუზეუმი;

- სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ცალკეულ მუზეუმებს, ათეულობით ძეგლს, მათ შორის ისტორიულ დასახლებებს თუშეთში. სიღნალის შემდეგ დაიწყო ქ. ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის პროგრამა;

- სახელმწიფო ფინანსების აღრიცხვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავდა და დამტკიცდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2001 წლის მეთოდოლოგიის (GFSM-2001) საფუძველზე მომზადებული საბიუჯეტო კლასიფიკაცია, რომლის სრული გამოყენებითაც შემუშავდა „საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნულ საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ცვლილებები იქნა შეტანილი „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ და ბიუჯეტის

შემოსავლების აღრიცხვის ინსტრუქციებში. აგრეთვე, GFSM-2001-ის შესაბამისად შემუშავდა სახელმწიფო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ახალი მეთოდოლოგია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე – IPSAS-ის ელემენტების გამოყენებით.

- გატარდა სამუშაოები ელექტრონული ხაზინის, ხაზინის მომსახურებაზე მყოფ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან ელექტრონული საგადამხდელო დოკუმენტაციის გაცვლის პროექტის მოსამზადებლად;
- ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებისა და საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა ახალი გამოთანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა, რომელიც აგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯების გამოთანაბრების პრინციპზე;

2009-2012 წლებისათვის გათვალისწინებული ასიგნებანი ძირითადი კატეგორიების ჭრილში

ნაერთი ბიუჯეტი

ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობის განსაზღვრას საფუძვლად დაედო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზი.

მაკროეკონომიკური გათვლების შესაბამისად ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების პროგნოზმა მშპ-ს მიმართ 2009 წლისათვის შეადგინა 21.4 პროცენტი, 2010 წლისათვის - 21.0 პროცენტის, 2011 წლისათვის - 20.6 პროცენტის, ხოლო 2012 წლისათვის - 19.8 პროცენტის დონეზე.

ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 2009-2012 წლებისათვის საანგარიშო პერიოდის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში განსაზღვრულია 4.7 პროცენტის დონეზე.

ნაერთი ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 2009 წლისათვის საანგარიშო პერიოდის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში განსაზღვრულია 0.4 პროცენტის, 2010 წლისათვის - 0.3 პროცენტის, ხოლო 2011-2012 წლებისათვის - 0.2 პროცენტის დონეზე.

ნაერთი ბიუჯეტის ვალდებულებების დაფარვა 2009 წლისათვის საანგარიშო პერიოდის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში განსაზღვრულია 0.7 პროცენტით, 2010-2012 წლებისათვის - 0.4 პროცენტით.

სახელმწიფო ბიუჯეტი

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2009 წლისათვის საანგარიშო პერიოდის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში განსაზღვრულია 20.8 პროცენტის, 2010 წლისათვის - 20.5 პროცენტის, 2011 წლისათვის - 20.3 პროცენტის, ხოლო 2012 წლისათვის - 19.7 პროცენტის დონეზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 2009-2012 წლებისათვის საანგარიშო პერიოდის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში განსაზღვრულია 3.8 პროცენტის დონეზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 2009 წლისათვის საანგარიშო პერიოდის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში განსაზღვრულია 0.4 პროცენტის, 2010 წლისათვის - 0.3 პროცენტის, 2011 წლისათვის - 0.2 პროცენტის, ხოლო 2012 წლისათვის - 0.2 პროცენტის დონეზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების დაფარვა 2009 წლისათვის საანგარიშო პერიოდის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში განსაზღვრულია 0.7 პროცენტით, 2010-2012 წლებისათვის - 0.4 პროცენტით.

ადგილობრივი ბიუჯეტები

